ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 29251274**
თარიღი:**07/05/2025**

**,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის Nგ- 29. 292501511 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქრთველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის'' 61-ე მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

**გადაწყვიტა:**

**მუხლი 1.** შევიდეს ცვლილება ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის Nგ- 29. 292501511 განკარგულებაში და განკარგულების დანართის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

**,,მუხლი 3.** პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების საფუძველზე, გამოკვეთილი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი შემდეგი ოჯახები:

ა) ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი ბავშვი;

ბ) მიტოვების რისკის მქონე ბავშვიანი ოჯახები;

გ) ოჯახები, რომელთაც ჰყავთ შშმ შვილი/შვილები (0- 18 წლის ჩათვლით);

დ) ობოლი შვილები (0- 18 წლის ჩათვლით) ;

ე) ბავშვები, რომელთაც ჰყავთ შშმ მშობლები;

ვ)მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახები;"

**მუხლი 2**. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

**მუხლი 3**. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 4.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ

დავითი გოგბერაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM